ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 280

“ 19 ” ივნისი 2025 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, ვახტანგ გორგასლის ქუჩა №25-ში (საკადასტრო კოდი: №01.18.04.004.002) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ა“ ქვეპუნქტის 118[1] მუხლის პირველი და მესამე პუნქტების და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის, მე-2 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას „ქალაქ თბილისში, ვახტანგ გორგასლის ქუჩა №25-ში (საკადასტრო კოდი: №01.18.04.004.002) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის 12 ივნისის №25.961.1058 განკარგულების დანართი №1-ით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, ვახტანგ გორგასლის ქუჩა №25-ში (საკადასტრო კოდი: №01.18.04.004.002) არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის ფორმით, ერთ ერთეულ უძრავ ქონებაზე სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზებაზე, ამავე დანართით გათვალისწინებულ პირთათვის, გასაფორმებელი, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართი №2-ით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძე

დანართი N1

	ქალაქი თბილისი, ვახტანგ გორგასლის ქუჩა N25 (საკადასტრო კოდი: N01.18.04.004.002)				
N	სახელი გვარი	პირადი ნომერი	სართული	ფაქტობრივად დაკავებული ფართი (კვ.მ)	საკადასტრო კოდი
1	ანა კანოიანი	01015000297	სართული 1, შენობა N1	21.76	01.18.04.004.002.01.539
2	ლაიდა ფოცხვერია	01015000185	სართული 1, შენობა N1	23.61	01.18.04.004.002.01.538
	მეია ფოცხვერია	01017039885			